


## დასაქმების სფეროები



საქართველოში ეკოლოგიის დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნა არსებობს და კიდევ უფრო გაიზრდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

უამრავი ადამიანი, დაწესებულება ურთიერთქმედებს ბუნებასთან, სარგებლობს მისი სიკეთით.

საქართველოში კი ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე წარმოდგენილი ბუნების დაცვის ნორმატიული დოკუმენტები. ყოველივე ამას კვალიფიციური კადრები ესაჭიროება.

ეკოლოგების დასაქმების სფერო ფაქტიურად შეუზღუდავია და მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, განსაფუთრებით ისეთ დარგებს, როგორცაა ენერგომატარებლების ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ჰაერის, მიწის წყლის, საკვების დაბინძურება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი და სხვა.

## სასწავლო გეგმა

საფაკულტეტო სავალდებულო საგნები  
კალკულუსი

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

ფიზიკის საფუძვლები

ქიმიის საფუძვლები

ბიოლოგიის საფუძვლები

გეოგრაფიის საფუძვლები

სპეციალობის სავალდებულო საგნები

ფიზიკა ეკოლოგებისათვის

ქიმია ეკოლოგებისათვის

ბიოლოგია ეკოლოგებისათვის

გეოგრაფია ეკოლოგებისათვის

ეკოლოგიის საფუძვლები

ბიოეკოლოგია

დედამიწისმცოდნეობა

დოზიმეტრია და რადიაციული კონტროლი

ბუნებათსარგებლობის მენეჯმენტი

ქიმიური ეკოლოგიის საფუძვლები

ეკოლოგიური სამართალი

სადიპლომო პრაქტიკა

საბაკალავრო ნაშრომი

ერთ-ერთი ბლოკი 55 ECTS არჩევით:

- ფიზიკური ეკოლოგია ან
- ბიოეკოლოგია ან
- ქიმიური ეკოლოგია ან
- გეოეკოლოგია

და 50 ECTS სამი დარჩენილი ბლოკიდან

## პროგრამის შესახებ

სასწავლო პროგრამა შედგენილია იმ გამოცდილების საფუძველზე, რაც დაგროვდა უკანასკნელ წლებში ევროპულ სასწავლო პროგრამებთან დაახლოების გზაზე. პროგრამის პარტნიორები არიან აგსტრიის, იტალიისა და საფრანგეთის უნივერსიტეტები.

პროგრამას წარმართავენ საუკეთესო სპეციალისტები .. განზრახულია უცხოელი პროფესორების მოწვევა ლექციების ციკლების წასაკითხად და სტუდენტთა გაცვლა.

## ახალი პროგრამა

## უნივერსიტეტში

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
საბაკალავრო პროგრამა

## ეკოლოგია”



<http://www.tsu.ge> ,

<http://moodle.science.tsu.ge>

<http://www.tsu.ge/geo/bachprograms1.asp>

თბილისი - 2009

## საბაკალავრო პროგრამის მიზანი

ბოლო ათწლეულების გამოცდილებამ აჩვენა, რომ საქართველოს შემდგომი განვითარება აუცილებლად იქნება დაკავშირებული ეკოლოგიურ საფრთხეებთან. ჯერ კიდევ შეიძლება თავიდან ავირიდოთ მოსალოდნელი პრობლემები. ამისათვის აუცილებელია სპეციალისტების მომზადება ეკოლოგიის მიმართულებით.

ეს არის პირველი პროგრამა, რომელიც დიპლომირებული ახალგაზრდების მომზადებას ისახავს მიზნად ეკოლოგიის დარგში. სპეცისტების მომზადების ასეთი პროგრამა დღემდე არ არსებობს ჩვენს რეგიონში.

## სწავლის შედეგი

პროგრამის გაგების შემდეგ ბაკალავრს მიეცემა საფუძვლიანი განათლება ეკოლოგიის დარგში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, კომპიუტერული და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიებში.

საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეეძლება გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში ეკოლოგიის დარგში, მისთვის საინტერესო მიმართულებების უფრო ღრამად შესასწავლად.

ამასთან, მას ექნება საშუალება უფრო ფუნდამენტურად დაეუფლოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან რომელიმეს, რომელიც მისთვის ყველაზე საინტერესო და მისაწვდომია და ამავე დროს მომიჯნავე პროფესიის სახით აირჩიოს ეკოლოგიის რომელიმე ვიწრო მიმართულება. ფაქტიურად არ არსებობს რაიმე ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლიდა სტუდენტს თავისი მომავალი კარიერა, საქმიანობის გეგმა მთლიანად ააგოს საკუთარი ინდივიდუალური ინტერესებისა და მიდრეკილებების საფუძველზე.

### საკონტაქტო პირი :

ეკოლოგიის პროგრამის კოორდინატორი  
კოორდინატორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
სასწავლო პროცესის მართვისა და  
სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი  
**ვაჟა ცხოვრებაშვილი**

იჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ II კორპუსი,  
ოთახი № 210, ტელ. : 294923;

ელ-ფოსტა: [vazha.tskhovrebashvili@tsu.ge](mailto:vazha.tskhovrebashvili@tsu.ge)

## საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS:

✚ 170 ECTS- სავალდებულო სპეციალობის საგნებიდან, მათ შორის 10 ECTS-საუნივერსიტეტო სავალდებულო (უცხო ენა);

✚ 30 ECTS –საფაკულტეტო სავალდებულო საგნებიდან (კალკულუსი ; კომპიუტერული უნარ-ჩვევები) და 20 ECTS საფაკულტეტო არჩევითი საგნებიდან ანუ საფუძვლები ძირითად მაპროფილებელ საგნებში : ბიოლოგია, ქიმია ფიზიკა, გეოგრაფია.

✚ სპეციალობის სავალდებულო-არჩევითი საგნების 55 ECTS - ოთხი ზემოთხაზოთვლილი პროფილიდან ერთი

✚ 50 ECTS – სპეციალობის სავალდებულო არჩევითი საგნები დარჩენილი სამი პროფილიდან, სტუდენტის სურვილის მიხედვით ;

✚ 20 ECTS- თავისუფალი არჩევითი საგნები



სასწავლო კურსის  
დამთავრების შედეგად  
გამომუშავებული  
კომპეტენციები

### დარგის ცოდნა და გაცნობიერება:

- ეკოლოგიის პრობლემების შესასწავლად საჭირო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნა
- დაკვირვებისა და აღრიცხვის უნარი, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

### ეკოლოგიის დარგთან დაკავშირებული უნარები:

- ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტული და ტრადიციული მეთოდების გამოყენების უნარი
- მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხეების პროგნოზირების მცდელობა
- ეკოლოგიური სიტუაციის აღწერის უნარი და შესაფერისი დოკუმენტაციის შექმნა ანალიზის უფრო სიღრმისეული შესწავლის ჩასატარებლად. დასკვნების გამოტანის უნარი.
- შესაბამისი სპეციალური ტერმინოლოგიის ცოდნა და საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების უნარი.

### ზოგადი / ტრანსფერული უნარები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის და სინთეზის უნარი;
- თანამედროვე კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი; ცოდნის განახლების უნარი